## განრიგი 2

## სესხის თანხების ათვისება

1. სასესხო ანგარიშიდან სესხის თანხების ათვისებისთვის გამოყენებულ იქნას წინამდებარე განრიგით გათვალისწინებული პროცედურები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ADB სხვაგვარად გადაწყვეტს.

2. (ა) მსესხებელმა აზიის განვითარების ბანკს უნდა წარუდგინოს სასესხო ანგარიშიდან თანხის ათვისების აპლიკაცია. აპლიკაცია შედგენილი უნდა იყოს ADB-ის მიერ მოთხოვნილი ფორმით.

(ბ) აღნიშნულ აპლიკაციას მსესხებელმა თან უნდა დაურთოს დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც დადასტურდება, რომ იმპორტირებისთვის შესაფერისი პროდუქტის ღირებულება მეტი იქნება გამოსაყოფი სესხის რაოდენობაზე თითოეულ იმ წელთან მიმართებაში, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს სესხის თანხების გამოყოფა,

(გ) მსესხებელმა აზიის განვითარების ბანკის მიერ დანიშნულ ექსპერტებს ნება უნდა დართოს, რომ შეამოწმონ იმპორტირებისთვის შესაფერისი პროდუქტი ნებისმიერ დროს, რომელთან მიმართებაში მსესხებელს, თანხის ათვისების აპლიკაციაში დადასტურებული აქვს იმპორტირებისთვის შესაფერისი პროდუქტის ღირებულება.

3. (ა) სასესხო ანგარიშიდან თანხის ათვისების შესახებ, აზიის განვითარების ბანკისთვის აპლიკაციის წარდგენამდე, მსესხებელმა საქართველოს ეროვნულ ბანკში უნდა გახსნას სახელმწიფო ხაზინის სავალუტო ანგარიშის ქვეანგარიში (სადეპოზიტო ანგარიში), რომელზეც უნდა განთავსდეს სასესხო ანგარიშიდან ათვისებული ყველა თანხა. სადეპოზიტო ანგარიშის გახსნა, მართვა და დახურვა უნდა მოხდეს აზიის განვითარების ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი პირობების შესაბამისად.

(ბ) სადეპოზიტო ანგარიშთან დაკავშირებული ცალკეული ანგარიშებისა და ჩანაწერების მართვა უნდა მოხდეს აზიის განვითარების ბანკისთვის მისაღები პრინციპების შესაბამისად. მსესხებელმა, აზიის განვითარების ბანკის მოთხოვნისამებრ, უნდა უზრუნველყოს ამონაწერი სადეპოზიტო ანგარიშიდან, რომლის დამოწმება მოხდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, რომლის კვალიფიკაცია, გამოცდილება და კომპეტენციათა ჩამონათვალი მისაღები იქნება აზიის განვითარების ბანკისთვის და შეესაბამება აუდიტორებისთვის განსაზღვრულ საერთაშორისო სტანდარტებს ან ეროვნულ სტანდარტებს, რომლებიც ასევე უნდა აკმაყოფილებდნენ აზიის განვითარების ბანკის მოთხოვნებს. მათი მომზადებისთანავე, მაგრამ აზიის განვითარების ბანკის მიერ მოთხოვნიდან არაუგვიანეს 6 თვისა, ასეთი ფინანსური ამონაწერის ასლები და აუდიტორების მოსაზრება, აღნიშნული ამონაწერის შესახებ უნდა წარედგინოს აზიის განვითარების ბანკს ინგლისურ ენაზე.

(გ) პროგრამის განხორციელების პერიოდში მსესხებელმა უნდა წარმოადგინოს

სტატისტიკური მონაცემები ვაჭრობის შესახებ და ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია, აზიის განვითარების ბანკის მოთხოვნისამებრ, რათა მოხდეს იმპორტირებისთვის შესაფერისი პროდუქტის ფორმულასთან მსესხებლის შესაბამისობის განსაზღვრა.

4. მსესხებელმა სესხის ათვისება უნდა მოახდინოს წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების ძალაში ყოფნის პერიოდში.

0256/L-15
08.10.2015
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia